

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ ე მ ი უ რ მ ა №90

2015 წლის 29 ივლისი,
ქ. ბათუმი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში
2015-2016 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წელს სასწავლო პროცესი წარმართოს შემდეგი ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად:

ა) 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი ბაკალავრიატში დაიწყოს 2015 წლის 28 სექტემბერს, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში - 12 ოქტომბერს და დამთავრდეს 2016 წლის 22 იანვარს;

ბ) 2015-2016 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისა და წარმართვისათვის საჭირო სტუდენტთა ფინანსური და აკადემიური რეგისტრაციის წარმოება ფაკულტეტებმა უზრუნველყონ 2015 წლის 14 სექტემბრიდან 25 სექტემბრის ჩათვლით;

გ) საშობაო არდადეგები გამოცხადდეს 2015 წლის 31 დეკემბრიდან 2016 წლის 8 იანვრის ჩათვლით;

დ) შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2016 წლის 25 იანვრიდან 13 თებერვლის ჩათვლით;

ე) დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2016 წლის 22 თებერვლიდან 27 თებერვლის ჩათვლით;

ვ) გაზაფხულის სემესტრის სალექციო-სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს 2016 წლის 29 თებერვალს, ორშაბათს და დამთავრდეს 2015 წლის 10 ივნისს;

ზ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2016 წლის 13 ივნისიდან 2 ივლისის ჩათვლით;

თ) გაზაფხულის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2016 წლის 11 ივლისიდან 16 ივლისის ჩათვლით;

ი) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება მოხდეს 2016 წლის 18 ივლისიდან 23 ივლისის ჩათვლით;

კ) სალექციო-სააუდიტორიო მეცადინეობები ჩატარდეს:

- 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ყოველდღე, გარდა კვირისა;

- 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა (საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ამ მიზნით შაბათის გამოყენება);

ლ) აკადემიური საათი განისაზღვროს 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი - 10 წუთით.

2. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ-ს კანცელარიასთან და ფაკულტეტების დეკანატებთან თვალსაჩინო ადგილებზე, ასევე ბსუ-ს ვებ-გვერდზე და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;

3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
პროფესორი

გურამ ჩაგანავა